ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ა.შ.შ. მოქალაქე ნ. მჭედლიშვილის განცხადება

განცხადება

მე, ა.შ.შ. მოქალაქე ნ. მჭედლიშვილს თბილისში ხოშარაულის ქ. No29, შენობა 5, ბლოკი A უკვე 7 წელია სრულად მაქვს გდახდილი თანხა 100მ^3 ფართზე. დღეს აქ დგას დაუკონსერვებელი 6 სართული, რომელზეც 7 წელი აგური აგურზე არ დადებულა და უნდა დაშენდეს 10 სართული. თქვენთვის ცნობილია საქმე NoAR1209569 მე, სხვებთან ერთად, რომელთა უმეტეს ნაწილს აქვს სრული გადახდა არ ვითხოვ ყდაღის მოხსნას, ვითხოვთ მხოლოდ მშენებლობის გაგრძელების უფლებას, რადგან ვფიქრობ მერიის ინტერესებში უნდა შედიოდეს წლობით გაყინული მშენებლობების დამთავრება. ჩვენ მხრივ 150 კაცი და მეორე მხრივ 4 კაცი ვინც დაადო ყადაღა მიწას („მძევლად" გვიყენებს ცენტრ-პოინტის წინააღმდეგ), ვართ ერთნაირ მდგომარეობაში, ჰაერში გვაქვს გადახდილი ფული.

დღეს ცენტრ-პოინტი თქვენსკენ იშვერს ხელს, ფაქტია, რომ არ იძლევით მშენებლობის ნებართვას (ვიმეორებ არ გთხოვთ ყადაღის მოხსნას), ამიტომ თუ რამე უბედური შემთხვევა მოხდა, რადგან წლებია მშენებლობა დაუკონსერვებელია, თქვენც ცენტრ-პოინტთან ერთად ვერ გაექცევით პასუხისმგებლობას, რადგან კანონი გავალდებულებთ მოგეთხოვათ მოსახლეობისა და ქონების დაცვის მიზნით ეს 7 წელი მშენებლობა ყოფილიყო დაკონსერვებული.

გთხოვთ დაზოგოთ თქვენი და ჩვენი დრო, ნერვები და მოგვცეთ A ბლოკზე მშენებლობის მხოლოდ გაგრძელების უფლება ყადაღიდან ამოუღებლად (ცნობისათვის, დაყადაღებულ მიწაზე დგას B ბლოკი და არა A ბლოკი, B ბლოკის ყველა სართული მთლიანად აშენებულია), სასამართლოსა და საელჩოებში სირბილის გარეშე, რაც ნამდვილად არ არის ჩვენი სურვილი და გაგვიწიეთ ეს დახმარება, ვიცით, რომ ეს შეგიძლიათ, ნუღარ მოგვაყენებთ მეტ ზიანს. ამ წუთში ცენტრ-პოინტს აქვს დასკვნა, რომ ნაგებობა მყარია და თუ 1-2 წლის შემდეგ აღარ ივარგა პირდაპირ თქვენზე გადმოვა ქონების დაზიანებაზე პასუხისმგებლობა.

განმცხადებელი: ნ. მჭედლიშვილი

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი
29213240490913

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130971018

რეგისტრაციის თარიღი

16.09.2013 წ

ნოტარიუსი: ირმა ფირცხალავა
მისამართი: თბილისი, მეტრო "ახმეტელი"-ს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 2249212

საბოტარო მოქმედებისა და საბოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის თექვსმეტ სექტემბერს მე, ნოტარიუს ირმა ფირცხალავას, ჩემს სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს, ქ. თბილისი „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია, მომმართა **ქალბატონმა ნუნუ მჭედლიშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ქალბატონ ნინო მჭედლიშვილს.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნუნუ მჭედლიშვილმა** (დაბადებული 02.10.1964წ. საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის პასპორტი №484715980, გაც. 22.09.2011წ. აშშ სახ. დეპარტამენტის მიერ, პირადი განცხადებით რეგისტრირებული: აშშ. შტატი ნიუ-იორკი, 3070 ბრაიტონის 1 ქუჩა) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის თექვსმეტ სექტემბერს მე, **ნუნუ მჭედლიშვილი**, შემდგომში „მიმნდობი", **ნინო მჭედლიშვილს** (დაბადებული 28.12.1966წ. გურჯაანში, პირადი №01019006838, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: *მართოს და განკარგოს ჩემი კუთვნილი ქონება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, შესაბამისად დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება, მათ შორის შეისყიდოს, გაასხვისოს, გააჩუქოს, მიიღოს საჩუქრად, მიიღოს მემკვიდრეობით, გაცვალოს, გააქირაოს, იქირაოს, გასცეს იჯარით, აიღოს იჯარით, დააგირაოს, დატვირთოს იპოთეკით, მიიღოს გირაოდ ქონება, ყველა შემთხვევაში განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ, საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს და/ან შეიტანოს ცვლილებები დადებულ ხელშეკრულებებში, აწარმოოს ყველა გარიგების გაანგარიშება, განკარგოს საბანკო ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები, მიიღოს დოკუმენტები ყველა პირისგან და დაწესებულებიდან, საწარმოდან, ორგანიზაციიდან, მათ შორის ბანკებიდან, მიიღოს საფოსტო, სატელეგრაფო და ფასიანი და სხვა კორესპონდენცია. აწარმოოს ჩემი სახელით ურთიერთობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე ყველა სახელმწიფო და არასახელწიფო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, მათ შორის საბაჟოსთან (მიიღოს და განაბაჟოს ტვირთი, ტრანსპორტი და ა.შ) და საგადასახადო სამსახურში, საპატრულო პოლიციაში, შსს მომსახურების სააგენტოში, მერიაში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის საამსახურებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში.*

აწარმოოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები ყველა სასამართლო დაწესებულებაში და არბიტრაჟში ყველა უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს და მესამე პირსა და დაზარალებულს, მათ შორის იმ უფლებითაც, რომ საქმე დაამთავროს მორიგებით, სცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, შეცვალოს სარჩელის საგანი, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს ქონება და ფული, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *სამ* თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი გადაეცა "მიმნდობს".

ამ მინდობილობით "მინდობილ პირს" *უფლება აქვს* მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია *განუსაზღვრელი* ვადით და ძალაშია *გაუქმებამდე.*

"მიმნდობმა" გადაიხადა ათი ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, და ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა. ამავეთვე ორი ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მიმნდობი

ნოტარიუსი

ირმა ფირცხალავა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140395358
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.04.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა ფირცხალავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მეტრო "ახმეტელი"-ს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2249212
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	24612008500714

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაოთხ აპრილს მე, ნოტარიუსი ირმა ფირცხალავა, რომლის სახოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მეტრო "ახმეტელის თეატრის"-ს მიმდებარე ტერიტორია, ვამოწმებ წინამდებარე ასლის იდენტურობას მის დედანთან.

გადახდილია საზღაური **1.18** (ერთი ლარი და თვრამეტი თეთრი) მათ შორის დღგ **0.18** (თვრამეტი) თეთრი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა და დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

საქართველო. ნოტარიუსი ირმა ფირცხალავა. GEORGIA. NOTARY IRMA PIRTSKHALAVA * 01022002790*

ნოტარიუსი

ირმა ფირცხალავა

